

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N29

ქ.თბილისი

25 აგვისტო, 2023 წელი  
14<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყუმალაძე  
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი აზვლედიანი  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე	
შოთა გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ზვიად კუპრავა	ზაზა თავაძე
ოთარ გრიგოლია	მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიტაიშვილი	სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ლევან უორჟოლიანი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვაწლანგ სურგულაძე	გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
არჩილ გოდულაძე	
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე და ნინო ბაგაშვილი.

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ირაკლი ნადირაძემ საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ტყემალაძეს, განმარტებები მოსთხოვა, თუ რატომ არ უშვებენ საკრებულოში იმ მოქალაქეებს, რომლებზედაც საშვებია დაშვებული, რათა დაესწრონ სხდომას.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ გუშინ, როდესაც თბილისში დაგეგმილ მშენებლობებთან დაკავშირებით, კომისიის სხდომა მიმდინარეობდა, დამსწრეთა ნაწილმა საკუთარი პოზიცია კონსტრუქციულად გამოთქვა, თუმცა, ამავე დროს, იყვნენ ადამიანები, რომლებმაც უცენზურო სიტყვებით გამოხატეს პოზიცია. შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც დღეს საკრებულოს შენობაში შესვლას აპირებენ, მათი ქმედება შოუს დადგმის მცდელობას ემსახურება.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მან მწუხარება გამოთქვა 3 აგვისტოს შოვში დატრიალებული ტრაგედიის გამო და სთხოვა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ გარდაცვლილებისთვის.

მამუკა გუგეშაშვილმა, გულისტკივილი გამოთქვა შოვის ტრაგედიის გამო და აქვე, აღნიშნა, რომ უკრაინაში, საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა კიდევ ერთი ქართველი მეომარი, ნიკა ახვლედიანი და საკრებულოს წევრებს სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპული მეომრისთვის.

საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შოვში, სტიქიის დროს დაღუპულებს და უკრაინის ომში დაღუპულ ჯარისკაცს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ბარბარა ჯიმელი-სულაშვილმა, ისაუბრა ურბანული კომისიის სხდომის შესახებ, სადაც მოწვეული იყო თითქმის ყველა დარგის კომპეტენტური სპეციალისტი. მან უმრავლესობა გააკრიტიკა, აღნიშნა, რომ უმრავლესობის წევრებისთვის დემოკრატიული პრინციპები არის პიარ-მცნება. არ შეიძლება მოქალაქეები შეიყვანო შეცდომაში. მეგა-პროექტები საფრთხეს უქმნის ქალაქს და მოქალაქეებს. საკრებულო და მერია ვალდებულია, ყველა კანონის დაცვით აწარმოოს ესა თუ ის მშენებლობა, რათა, თავიდან იქნას აცილებული ურბანული კატასტროფა.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე გამოდის ყველაზე რთული ურბანული პროექტი, რომელიც ანადგურებს თბილისის მაცხოვრებლების უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ისაუბრა თუ როგორ ნადგურდება დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობა, გაიხსენა კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირება „ლაგუნა ვერესთან“ დაკავშირებით, განაცხადა, რომ შემოწირულობების და კორუფციის ხარჯზე გაიყიდა თბილისი, მაგრამ ამას ქართველი მოსახლეობა არავის აპატიებს, ესაა ელიტური კორუფცია, რასაც, მისი თქმით, ადგილი აქვს უმრავლესობაში.

„შეაყარე კედელს ცერცვი“- ქართული ოცნება ესაა სისტემური კედელი, რომელსაც ხალხის არ ესმის, რომელიც არ უფრთხილდება და კულტურულ მემკვიდრეობას უკარგავს თბილისის კულტურულ მემკვიდრეობას და კედელი უნდა დაიწყოს.“

ამ სიტყვების შემდეგ ცერცვი მოაბრნია საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

ამ პერფორმანსს მოჰყვა საკრებულოს თავმჯდომარის რეპლიკა:- „სხდომიდან სხდომამდე პერფორმანსებს ხვეწთ“.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ „იმდენი ხანია ხელისუფლებაში ხართ, რომ ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, მერე წავიდა, მერე ისევ მოვიდა და ახლა გვეუბნება, რომ ისევ წავიდა. ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, წავიდა, კიდევ მოვიდა. ენუქიძე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ორჯერ იყო დეპუტატი, მერე თქვენი დეპუტატი იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მყოფი მოსამართლები, ახლა თქვენი მოსამართლები არიან. პრობლემაზე საუბრისას ყველაფერს წინა ხელისუფლებას აბრალებთ, რომლის ნაწილიც ახლა თავად გყავთ ხელისუფლებაში. ყველაზე დიდი ხანია ქვეყანას მართავთ, მაგრამ თურმე, რაც კი რამე ცუდი ხდება, წინა ხელისუფლების ბრალია.“ „ისწავლეთ პასუხისმგებლობის ადგება და ნუ ატყუებთ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც წინა ხელისუფლება არც კი უნახავს, ბაღში დადიოდნენ, ან სკოლაში“-დასმინა ცოტნე კობერიძემ.

ირაკლი ხელამე ოპოზიციონერ კოლეგებს გამოეხმაურა და ნამალადევის რაიონში დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ საუბარია ყოფილ ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც, ამჟამად ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების გროვაა და რომლის ჩანაცვლებაც იგეგმება თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მისივე ინფორმაციით, პროექტის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიას ორი მეტროსადგური - ნაძალადევი და ვაგზლის მოედანი - ესაზღვრება. პროექტის დასრულების შემდეგ, კი იგეგმება ორი რაიონის დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობა და ახალი გზების მოწყობა, ასევე, დენდროლოგიური სამუშაოებია გათვალისწინებული 4 ჰექტარზე. პროექტს ოპოზიციამ ურბანული გენოციდი იმიტომ უწოდა, რომ ეს ტერიტორია, ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ მმართველობამდე, პარლამენტის წევრის ნინო წილოსანის ოჯახს ეკუთვნოდა. „ნამალადევის რაიონში ყველაზე მოძველებული ინფრასტრუქტურაა და მოსახლეობა ეკონომიკური პროექტების გახორციელებას ითხოვს, რისთვისაც ბიზნესის ხელშეწყობაა საჭირო“- აღნიშნა მან.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგები ნამდვილად გამოირჩევიან კონკრეტული გვარების მიმართ ინტერესით. „კომისიაზე არაერთი მაგალითი იქნა მოყვანილი, რომ ერთი და იგივე არეალში, უფრო მეტი სიმჭიდროვის განაშენიანების რეგულირების გეგმა დაგვიმტკიცებია, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მათი უკმაყოფილება, იმიტომ, რომ იქ არ იყო ამოკითხული წილოსანის, რუხაძის და ა.შ გვარები. ეს გვაძლევს დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ ეს ადამიანები, უმეტეს შემთხვევაში, არიან პოლიტიკურად ანგაშირებულები“.

ვახტანგ სურგულაძემ დედაქალაქში დაგეგმილ სამშენებლო პროექტებზე საუბრისას აღნიშნა, რომ სახელისუფლო ფრაქცია საკრებულოში სრულად მობილიზებულია და საკრებულოს 29 წევრი ამ პროექტებს მხარს დაუჭერს. გუშინდელ კომისიაზე რეალური ექსპერტები იყვნენ, რომლებმაც რეალური საფრთხე დაგვანახეს, როგორც ღვარცოფის, ისე წყალდიდობის და სეისმოლოგიური მიმართულებით. მშენებლობების, რომელიც ამახინჯებს და საფრთხეს უქმნის ქალაქს, ერთ დღეში დამტკიცება არ შეიძლება, მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში. „არ მეგონა, რომ შოვის ტრაგედიის შემდეგ ასეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მაინც მიიღებდნენ. ეს, ურბიციდია, ქალაქს კლავენ.“-განაცხადა ვახტანგ სურგულაძემ.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ გუშინდელ სხდომაზე მოწვეულ ყველა ექსპერტს მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება, თუმცა, მას შემდეგ, რაც უშუალოდ საკითხის განხილვა დაიწყო, სხდომაზე არც ერთი ექსპერტი აღარ იყო და ოპოზიციის მხოლოდ 4 დეპუტატი დარჩა. ეს არის ზუსტად იმის მაგალითი, რომ ოპოზიციას კონკრეტული საკითხი კი არ აინტერესებს, არამედ, აინტერესებს დესტაბილიზაციის მოხდენა, რისი მცდელობაც გუშინაც ჰქონდათ.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან სამშენებლო პროექტებზე წინააღმდეგობა იმიტომ არსებობს, რომ ნებისმიერი, დიდი სამშენებლო პროექტები არის დამაზიანებელი, არ არის შესაბამისის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა. როგორ შეიძლება, მოხდეს რაიონის ამხელა განაშენიანება და არ იყოს გათვალისწინებული სკოლა და ბაღი. ნამალადევის პროექტი შეიძლება იდეალურია, მაგრამ იმ ქალაქში, სადაც ეს ყველაფერი ხორციელდება, არის დამღუპველი. ამ პროექტზე გეგმარებითი დავალების მიღებისას, იყო დაპირება, რომ გათვალისწინებული იქნებოდა განვივი კავშირი ნამალადევი-დიდუბე-საბურთალოს მიმართულებით, თუმცა პროექტში ეს არაა აღნიშნული.

გივი ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის განვითარებისთვის დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით, ოპოზიციასთან შინაარსობრივ განხილვაში შესვლა შეუძლებელია, რადგან ოპოზიციის წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ქალაქის განვითარებას.

ანა გოგოლაძემ, განაცხადა: „ ეს მძიმე დღე არ უკავშირდება მხოლოდ ცათამბჯენებს, უკავშირდება გულგრილობას, უსამართლობას, ცინიზმს, ტყუილ ბრალდებებს, რაც გუშინ გაისმა ურბანული კომისიის სხდომაზე. ხელისუფლების პოლიტიკის კეთების ძირითადი ამოცანა და მიზანი არც მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ ყოფილა, დღეს „ქართული ოცნება“ ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას, რათა იზრუნოს საკუთარ კეთილდღეობაზე.“

ისაუბრა პროექტებზე და აღნიშნა, რომ დედაქალაქისთვის „ლაგუნა-ვერეს“ პროექტი, ესაა ნაღმი. პროექტში უგულებელყოფილია ეკოლოგიური, ურბანული, სატრანსპორტო გამოწვევები. მოითხოვა ამ საკითხის გადადება ერთი თვითი, რათა პროფესიონალ ექსპერტებს მიეცეთ არგუმენტირებულად დასაბუთების საშუალება. „თუ საქმე რეალურად ეხება თბილის, თბილისელების ბედს, მათ არავინ არაფერს ეკითხება. პოლიტიკური დაკვეთა გაქვთ მიღებული და ამ დაკვეთის შესრულებას

აპირებთ დღეს, სამწუხაროდ, მოქმედი ხელისუფლება, ეს საკრებულო დღეს დაადასტურებს ამას კენჭისყრის შედეგებით.“-განაცხადა ანა გოგოლაძემ.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოს ოპოზიციას ქალაქის რეალური პრობლემები არ აინტერესებს. იმისთვის, რომ ქალაქი ქაოსურად არ განვითარდეს, საჭიროა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა. „ჩვენს ქალაქში არის მოთხოვნა სამშენებლო ფართებზე, რასაც აკმაყოფილებს ბიზნესი. ჩვენ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმები გვჭირდება, რათა ყველა მშენებლობა, სტანდარტის დაცვით გახორციელდეს“

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ მას მოსწონს ცათამბჯენები, მაგრამ მათი მშენებლობა ყოველთვის გამართლებული არაა. ურბანული კომისიის სხდომაზე მოწვეულმა ექსპერტებმა ისაუბრეს თუ რა საფრთხის შემცველია „ლაგუნა-ვერეზე“ გასახორციელებელი პროექტი. გაიხსენა მდინარე ვერეზე მომზდარი ტრაგედია და განაცხადა, რომ არ შეიძლება ვიღებდეთ პასუხისმგებლობას „ლაგუნა-ვერეზე“ დაგეგმილ მშენებლობაზე, რომელზეც ექსპერტებისგან რეკრეაციის შენარჩუნება არის რეკომენდირებული. ამ ქალაქის „კულტურულ გენოციდს“ ნამდვილად მოახდენს ასეთი სახის პროექტები - აღნიშნა მან.

ოთარ გრიგოლიამ „ლაგუნა-ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტან დაკავშირებით ოპოზიციის ბრალდებებს უპასუხა და განაცხადა, რომ ურბანული კომისიის სხდომაზე აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად განიხილეს. ოპოზიცია საკითხის განხილვაში მხოლოდ ერთი საათი იყო ჩართული, სანამ ტელევიზიები აქტიურობდნენ და ორდესაც საკითხის შინაარსობრივი განხილვა დაიწყო, არცერთი ეს ადამიანი დარბაზში აღარ იმყოფებოდა. კოლეგები, მათ, იმის გამო აკრიტიკებდნენ, თითქოს საკრებულო არ იყო საკმარისად ღია დისკუსიების გასამართად, თუმცა, გუშინ, ყველანაირი შეფერხების გარეშე, მოვიდნენ ადამიანები და საკრებულოს დეპუტატებთან თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს.

„მინდა შევეხო „ლაგუნა-ვერეს“ პროექტს, რაზეც ყველაზე დიდი ყურადღებაა გამახვილებული. ჩვენი კოლეგები საუბრობენ საფრთხეებზე და ეს საფრთხეები რატომღაც, მხოლოდ ახლა გაახსენდათ. ამ ტერიტორიაზე ამჟამად ასობით ადამიანი მუშაობს. თუ ეს ტერიტორია საფრთხის შემცველია, რატომ აქამდე არ გისაუბრიათ ამაზე? თუ იქ მომუშავე ადამიანებისთვის დღეს პრობლემა არ არის, როდესაც პროექტი გახორციელდება და არსებითად შეცვლის იმ არეალის მდგრადობას, მაშინ გახდება საფრთხის შემცველი? ოპოზიციას ხალხი და ქალაქი მაშინ ახსენდება, როდესაც პროექტის მფლობელის გვარი არ მოსწონს“, -განაცხადა ოთარ გრიგოლიამ. ასევე, განმარტა, რომ კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად, პროცესი დაიძრა.

გოგა ონიანი-„შეიძლება ჩვენ რაღაცას მართლა სუბიექტურად ვხედავთ და ამიტომ მაინტერესებს იმ ადამიანების მოსმენა, ვისაც უფრო მეტი ცოდნა აქვს“. ანიანი აღმოგთება გამოთქვა უმრავლესობის წევრის ნიკო კახეთელიმის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე და განმარტა, რომ უმრავლესობა ურბანული კომისიის

სხდომაზე მოწვეულ ადამიანებს განიხილავს პოლიტიკურ ჭრილში და ამიტომ ვერ ხდება ნორმალური კომუნიკაცია“.

„არც გიგით დაწყებულა ეს ქალაქი და არც კალაპით არ მთავრდება“- განაცხადა მან.

კოტე ზარნაძემ მაღლობა გადაუხადა ურბანული კომისიის თავმჯდომარეს სხდომის კვალიფიციურად ჩატარებისთვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც მერიამ გასცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იქნა გათვალისწინებული. „ვერ ვხვდები, რატომ უნდა შეეჩერებინა კომისიას ეს საკითხი, რა საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ აღნიშნული პროექტი საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის და ქალაქისთვის და იმ აპოკალიფსური შედეგის მომტანი, რომელზეც ოპოზიცია აპელირებს“.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ მთავარი პრეტენზია, სპეციალისტების მხრიდან, არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული. მირითადად, საკითხი ეხება გვირაბს, გაიხსენა 2013 წლის ტრაგედია და დაინტერესდა, ამ პროექტის ფარგლებში, იგეგმება თუ არა გვირაბის გაფართოება.

შალვა ოგბაიძე ოპოზიციის მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სატრანსპორტო კოლაფსი შეიქმნება. შალვა ოგბაიძის განცხადებით, ისეთი მნიშვნელოვანი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე, როგორიცაა ტექდათვალიერება, გამონაბოლქვის რეგულირება, ელექტრომობილების და ეკომეგობრული ტრანსპორტის წახალისება, არ ხდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. „მე მესმის, რომ ოპოზიცია ხელფასს სწორედ კრიტიკაში იღებთ და ამიტომაც დახატეთ აპოკალიფსური სურათი.“

ლილე ლიპარტელიანმა „ურბანული აოხრება“ უწოდა საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ პროექტებს და განაცხადა, რომ დღეს განსახილველი, მისი თქმით - ე.წ. წილოსანი-რუხაძის პროექტი ბრაუნფილდია და მიწასარებლობის გენერალური გეგმის კონცეფციით 80% ბრაუნფილდების რეკრეაციული ზონით უნდა განვითარებულიყო. 20 ჰექტრიდან 4 ჰექტარზე რომ პარკი გაშენდება, ეს თბილისელებისთვის არაფერია, რადგან მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება - სიცოცხლის, ჯანმრთელობის და გადაადგილების, ამ პროექტებით შეიზღუდება. წლების განმავლობაში არ ჩატარებულა კვლევა, რითაც დადასტურდებოდა განივი ჭრილების - გვირაბისა და ხიდის/ესტაკადის აშენების მიზანშეწონილობა. ჭავჭავაძის გამზირზე დაგეგმილი მშენებლობა, წარმოუდგენელია. სპორტის უნივერსიტეტს, რომელიც დღეს მიწასთან არის გასწორებული, 18 ათასი კვ.მ-დან მხოლოდ 7 ათასი კვ.მ დაეთმობა. „ლაგუნა-ვერეს“ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პროექტი საკმაოდ საფრთხის შემცველია. „კოსტავას ქუჩის მხრიდან - ცენტრალური სასმელი წყლის მილი, ვარაზისხევიდან - ვარაზის ხევის კოლექტორი, ვერეს ხეობიდან - ვერეს ხეობის კოლექტორი და ამ ნაწილში თქვენ გინდათ ცათამბჯენების აშენება?“ - განაცხადა მან.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ მთელი ერთი კვირაა ოპოზიციის წარმომადგენლები საზოგადოებას ატყუებენ და დეზინფორმაციას ავრცელებენ. ოპოზიცია ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა. განაცხადა, რომ ოპოზიციას

მხოლოდ ის გრგ-ები მოსწონს, რომლებიც მათ პარტიებთან დაკავშირებულ ბიზნესმენებს ეხება.

„ლისი დეველოპმენტი მოგწონთ? ხაზარაძის გამო ჭაობად ქცეული ლისის ტბა მოგწონთ? სანამ მხოლოდ თქვენთან დაკავშირებული ადამიანების გრგ-ები მოგეწონებათ და არ მოგეწონებათ ისინი, ვინც ამ ქვეყანას განვითარებას მოუტანს, მანამდე სულ ასეთ მდგომარეობაში იქნებით, დამთავრდა ამ ქვეყანაში დრო, როდესაც ამომრჩეველს „ატყუებდით“, -განაცხადა მან. ბოჟაძის ამ განცხადებამ ვახტანგ სურგულაძის აღშფუოთება გამოიწვია.

კახაბერ ლაბუჩიძემ გააკრიტიკა ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებმაც ტელევიზიის საშუალებით, უამრავი ტურილი გაავრცელა ამ პროექტებთან დაკავშირებით.

„სირცხვილი იყო, როცა აშენებდით მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსებს, რომელთაც არ გააჩნდათ რეკრეაცია. სირცხვილი იყო ყოველგვარი პარკირების და საბავშვო სიცორცეების გარეშე გაცემული მშენებლობის წებართვები. სირცხვილი არის ის, რომ ჩვენს მთავარ გამზირზე, რუსთაველზე, წლების წინ გაეცით სამშენებლო ნებართვა, რამაც ქალაქის ისტორიული იერსახე შეცვალა“. „გვაბრალებთ საშინელებას, თითქოს ამ ქალაქის გენოციდს ვაწყობთ“, განაცხადა მან.

რევაზ სოხაძემ, განაცხადა, რომ არც მერია და არც საკრებულო არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაბამისი არ იქნება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან. განსაკუთრებით ეს ეხება უსაფრთხოებას და ამასთან დაკავშირებით, ყველა წუხილი, საზოგადოების მხრიდან, გაქარწყლებული იქნება. „ჩვენ ვუსმინეთ საზოგადოების იმ. წარმომადგენლებს, ექსპერტებს, რომლებიც ოპოზიციას ყავდა მოწვეული სხდომაზე, მათ მიერ გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა, რაც მათ აღელვებთ, გათვალისწინებული იქნება პროექტებში. უკვე შემდგომ, საწებართვო ეტაპზე შესაბამისი კვლევები დაიდება.“

ირაკლი ნადირაძემ „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე ორი ცათამბჯენის მშენებლობას, ურბანული გენოციდი უწოდა. „სამწუხაროდ, დიდი ხანია აზრი აღარ აქვს აღარც საკრებულოს კომისიის სხდომებზე განხილვას, აღარც საკრებულოს სხდომებს. ამიტომ მე თქვენთან საგნობრივ განხილვაში აღარ შემოვალ. თქვენი პოზიცია 7-საათიანი განხილვის შემდეგ ვნახე. აქ არიან ტელევიზიები, გვიყურებენ ჩვენი მოქალაქეები და ამიტომ მე მათ მინდა რომ მივმართო - მთავრდება ზაფხული და ხედავთ როგორი მძიმე სიტუაციაა საცობებთან მიმართებაში, პარკირების მიმართებით, საზოგადოებრივ ტრანსპორტთან მიმართებით. თქვენს გარშემო ხედავთ მილიონ პრობლემას, რომელსაც ყოველდღიურად აწყდებით ცხოვრებაში. თქვენ ხედავთ, რომ იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, სიტუაცია თბილისში უფრო და უფრო მძიმდება და ალბათ, გიჩნდებათ კითხვა, რატომ ხდება ასე, რომ თქვენი პრობლემების მოგვარების ნაცვლად, სიტუაცია არის ყოველდღიურად უფრო მძიმე, პასუხი არის მარტივი - კახი კალაძე იმის ნაცვლად, რომ აგვარებდეს თბილისელების პრობლემებს, აგვარებს ნოშიკო ნამორაძის, ნინო წილოსანის, რუხაძის, ჩხარტიშვილის, გოჩა ენუქიძის, ირაკლი დარიბაშვილის და რა თქმა უნდა, რუსი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის პრობლემებს.“ ამ განცხადების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები დღესაც სასამართლოში ჩივიან და პარკებსა და სკვერებში მშენებლობის გაცემის ნებართვას ითხოვენ. „ყველას არ ეხება, თუმცა აღვნიშნავ, რომ არცერთ ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგას დღეს ხმა ე.წ. ექსპერტების მიერ გამოვლენილ უზრდელობაზე არ ამოუღია. ვიმეორებ, ჩემი განცხადება საკრებულოში სტუმრად მყოფ ყველა ექსპერტს არ ეხება. ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგებს კი, რომელთაც ე.წ. ექსპერტების გამონათქვამები მოეწონათ, მოვუწოდებ, რომ წაიყვანონ ისინი თავიანთ პარტიებში, ოფისებში, სახლებში - ყველგან, სადაც გაუხარდებათ და უსმინონ. ერთად წერონ ისიც, რაც დღეს სოციალური ქსელებით ვრცელდება“.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ მიღებული იქნება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც სჭირდება ქვეყანას. ოპოზიციას კი, პასუხი მოეთხოვება იმისთვის, რომ ხელს უშლის ქვეყნისა და ქალაქის განვითარებას. „ზოგიერთი ოპონენტისთვის, როგორც ჩანს, მიუღებელია ზაფხულში მუშაობა, რადგან შვებულებების პერიოდია. ეს ძალიან უცნაურია, რადგან საკრებულო ვალდებულია ქვეყნისთვის და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხები წლის წესის მიერ დროს განიხილოს. აქ არის ერთი მარტივი რამე - არსებობს ომის პარტია, რომელმაც დღეს თავისი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა და თქვა, რომ ამ ქვეყანაში არ უნდა მშვიდობა. რატომ? იმიტომ, რომ არ უნდა იყოს აღმშენებლობა, არ უნდა ვითარდებოდეს ქვეყანა, დედაქალაქი. ალბათ, მოეწონებოდათ მათ მსგავსად რომ ვძარცვავდეთ ხალხს, ვიჭერდეთ, ვსამადეთ ციხეში, ვაწამებდეთ, შემდეგ გამოვძალავდეთ ქონებას და ამის ხარჯზე ვმდიდრდებოდეთ, როგორც, წლების განმავლობაში მდიდრდებოდა ეს პარტია. მას შემდეგ სწორედ ამ პარტიის წევრები არიან ოპოზიციაში და მუდმივად არყევენ ქვეყანას და ყველა საკითხს იყენებენ თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის.“

„პროექტებს, რომლებსაც დღეს განვიხილავთ, უნდა შევხედოთ იმ კუთხით, თუ როგორ სჭირდება მათი განხორციელება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. დაახლოებით მიღიარდზე საუბარი და ეს პროექტები ძალიან დიდ მოგებას მოუტანს ქვეყანას, დედაქალაქს.

აქ კიდევ მეორე საკითხია, ჩვენი სხვა ოპონენტები, რომლებიც წარმოდგენილები არიან საკრებულოში, აწყობენ იაფთასიან სპექტაკლებს და ამბობენ ნაციონალურ მოძრაობასთან ნუ გვაიგივებთო. მინდა მათ მივმართო, ეს ნუ გაგიკვირდებათ, იმიტომ, რომ ხელწერა ერთი გაქვთ, მესიჯბოქსი, განწყობები ერთი გაქვთ და საზოგადოებას ნულარ მოსთხოვთ პასუხს, თუ რატომ არ გაძლიერენ ხმას. საზოგადოება თქვენში ალტერნატივას ვერ ხედავს. ალტერნატივა არის ომი, ნაციონალური მოძრაობა და ხალხი ამას არ მიიღებს, იმიტომ, რომ სწორედ თქვენ, ერთხელ უკვე დაანგრიეთ ეს ქვეყანა და მეორედ ამის საშუალებას არ მოგცემთ“ - განაცხადა მან.

ნინო ვარდოსანიძე იპოზიციის მხრიდან მორალსა და ზნეობის შესახებ გაკეთებულ კომენტარებს შეეხო და მათ კორექტულობისკენ მოუწოდა. „ოპოზიციის მხრიდან დღეს არაერთი კომენტარი გაკეთდა მორალსა და ზნეობაზე, საუბრობენ, თუ როგორ უნდა განვაგრძოთ ამ ქალაქში ცხოვრება ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. მინდა მოგიწოდოთ, ასეთი შეფასებების დროს კორექტულნი და მეტად თავშეკავებულები იყოთ, ქალაქის და ქვეყნის წინაშე. ყველა მძიმე დანაშაულზე

პასუხისმგებელი ძალა არა თუ აგრძელებს ცხოვრებას, არამედ ამდენი წელია ისევ ხელისუფლებაში მობრუნებას ცდილობს"- განაცხადა მან.

ანა კაკაბაძემ განაცხადა: „ჩვენი ოპონენტების პოლიტიკური პეკლუცობა მაშინ მთავრდება, როდესაც საკითხების განხილვაზე გადავდივართ, სწორედ ამ დროს ტოვებენ ისინი სხდომის დარბაზს. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ახალი სამუშაო ადგილები, ახალი ინვესტიციები, ინფრასტრუქტურის განვითარება და თუ ვინმე ამას ეწინააღმდეგება, ის არის საკუთარი ქალაქის, საკუთარი ქვეყნის მტერი. ვერ მოგცემთ უფლებას თბილისის განვითარებას და წინსვლას ხელი შეუშალოთ.“

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი, შეიძლება გაერთიანდეს ერთი საერთო ნიშნით, ესაა, პოლიტიკური კორუფცია. ამიტომ საკრებულოს ფრაქციამ „თბილისი საქართველოსთვის“ მიმართა პროკურატურას, რათა, ყველა ამ პროექტთან დაკავშირებით დაიწყოს სერიოზული გამოძიება.

საკრებულოს წინაშე, კიდევ ერთხელ დააყენა ინიციატივა ანტიკორუფციული კომისიის შექმნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „რადგან ვერ ვხედავთ სხვა, უფრო ეფექტურ მექანიზმს, რაც თბილისის მრავალმილიონიან ბიუჯეტს და სამშენებლო ბიზნესის არაფორმალურ ლობიზმს კორუფციული რისკებისგან დააზღვევს.“

ასევე, მიმართა თბილისის მერს, საზოგადოებას აუხსნას, „რატომ იცრუა და მოატყუა ხალხი, როცა განაცხადა, რომ „ლაგუნა ვერე“ საჩუქრად გადაეცემოდა თბილისს“.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალება, კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ ტერიტორიაზე არსებული „ლაგუნა-ვერე“ იქნება შენარჩუნებული და ინვესტორის მხრიდან აღდგენილი და რეაბილიტირებული.

არჩილ გორდულაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციას ქვეყნის წინსვლა არ აინტერესებს. „ვადევნებ თვალს თქვენი პატრონების მიერ დაფინანსებულ ტელევიზიებსაც და სხვა მედიასაშუალებებსაც. სამწუხაოროდ, თქვენი მხრიდან მხოლოდ ტყუილის ტირაჟირებას ვისმენ. თქვენ რომ მოგისმინოთ, ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ომი მშვიდობაა, განვითარება გენოციდია და ეკონომიკური წინსვლა საერთოდ არაა საჭირო.“ მან დედაქალაქის მერიის წარმომადგენლებს და კოლეგებს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის, ხოლო ოპოზიციას საერთო საქმის კეთებისკენ მოუწოდა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელი:თამარ გოგიტიძე

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134 1 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125- ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/ გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განცუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის –

ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სიცრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონსულოს 2018 წლის 27 ივნისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაზო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონსულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი №6-ის მიმდებარედ არსებული 82.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.01.010.018.02.612 და №01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა №13-ში არსებული 68.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.01.083.009.01.525) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს №2ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა №14დ-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.217.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

12. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, XI ქუჩა, კორპუსი 3-თან არსებული 860 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.014.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში №01.19.39.006.207 და №01.19.39.006.208 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 11 228 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ბრ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ. 405596573), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა №105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვაკშირი ქალი და რეალობისთვის“ (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.047) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ. 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. ქ. თბილისში, კედიას ქ. №8-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.108) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კლასიკ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ. 402020184) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. ქალაქ თბილისში, ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.58.046.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 9 ივნისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტებლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ (ს/ნ. 405385925) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბეჟანიშვილის ქუჩა №15; ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთან (საკადასტრო კოდი: №01.12.12.005.010, ფართობი - 629 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლურჯედის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.17.003.416, ფართობი - 1 391 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ № 01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ № 01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ქორქოლიანი

25. მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქუჩა № 35 (ს/კ: №01.14.08.007.064 (ძელი მისამართი: არჩილ ამაღლობელის ქუჩა № 24) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი“-ს (ს/კ 405168946) მიმართ დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ქორქოლიანი

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.078) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.21.665; №72.16.17.654; №72.16.21.662; №72.16.21.023; №72.16.21.024; №72.16.21.663; №72.16.21.664; №72.16.17.655; №01.72.16.096.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში, სამადლოს ქუჩა №16-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:

№81.02.18.901; №81.02.18.902; №81.02.18.107; №81.02.18.105; №01.81.02.183.003; №81.02.18.561) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა №55; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, კოსტავას ქუჩა №69-ში; ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №51; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, ფაბრიკა “ამირან - სინთეზი”-სა და ცენტრალური საცურაო აუზის მიმდებარედ, სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა “ამირან-სინთეზი”-ს მიმდებარე ტერიტორია სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის; ქალაქი თბილისი, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, “ლაგუნა ვერეს” მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.15.03.004.038; №01.15.03.004.090; №01.15.03.004.049; №01.15.03.004.037; №01.15.03.004.017; №01.15.03.004.028; №01.15.03.004.015; №01.15.03.004.008; №01.15.03.004.013; №01.15.03.004.019; №01.15.03.004.043; №01.15.03.004.041; №01.15.03.004.042; №01.15.03.004.046; №01.15.03.004.023; №01.15.03.004.084; №01.15.03.004.061; №01.15.03.004.079; №01.15.03.004.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.835; №01.72.014.843; №01.72.14.014.579; №01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49, №49-ა; №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.178; №01.14.07.008.180; №01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.02.989; №81.02.99.731; №81.02.02.351; №81.02.02.987; №81.02.02.988; №81.02.02.919; №81.02.02.918; №01.81.10.291.001; №01.81.10.291.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომზსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.012) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომზსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ქუჩა რკინიგზა, №30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №32-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.011.116; №01.12.12.011.001; №01.12.12.011.120; №01.12.12.011.111; №01.12.12.011.128; №01.12.12.011.129) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომზსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.16.104.013, №72.16.20.571) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომზსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ერედვის ქუჩა, №87, №81, №89, №85, №83, №91; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ფატმანის ქუჩა №96, №100, №98, №84, №94, №92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.038.178, №01.72.14.038.116, №01.72.14.038.657, №01.72.14.038.520, №01.72.14.038.117, №01.72.14.038.118, №01.72.14.038.972, №01.72.14.038.522, №01.72.14.038.368, №01.72.14.038.521, №01.72.14.056.128, №01.72.14.056.129, №01.72.14.038.112, №01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №623 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომზსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №2, №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(საკადასტრო კოდი: №01.19.19.009.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების  
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე  
მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრამაშ I-ის ქუჩა, №13; №15ა; №23ა;  
№21ა; №17ა; №16; №41; №39; №20; №18; №12; №10; №23; №25; №14; №21; №15; №19; №17-  
ში; ქალაქი თბილისი, დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის  
მექანიკურმეობის პვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი  
თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ  
მეფის გამზირი, №41; №39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები:  
№01.72.14.014.230; №01.72.14.014.858; №01.72.14.014.626; №01.72.14.014.629;  
№01.72.14.014.704; №01.72.14.014.264; №01.72.14.014.942; №01.72.14.014.242;  
№01.72.14.014.438; №01.72.14.014.816; №01.72.14.014.219; №01.72.14.014.339;  
№01.72.14.014.232; №01.72.14.014.225; №01.72.14.014.222; №01.72.14.014.262;  
01.72.14.014.738; №01.72.14.014.987; №01.72.14.014.220; №01.72.14.014.677;  
№01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე  
მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის  
დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. "ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ  
ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის №324 განკარგულებით  
დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების  
კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ  
ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის №325 განკარგულებით  
დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების  
კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-14-ში არსებულ მიწის  
ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 30 დეკემბრის №269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე  
მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის №01/90 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ფონიჭალას დასახლებაში IV მაცივრის მიმდებარედ, სააქციო საზოგადოება”wimm-bill-da№№-food”-ის და შპს”ვიმ-ბილ-დან საქართველო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე რძის პროდუქტების საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქ თბილისის მერიის სსიპ-ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 16 ივნისის №01/760 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.008.410) მრავალბინანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.01.692; №81.02.21.180; №81.02.21.222; №81.02.21.722; №81.02.21.592; №81.02.21.593; №81.02.21.506; №81.02.21.221; №81.02.21.509; №81.02.21.508; №81.02.21.962; №81.02.21.961; №81.02.94.946; №81.02.21.772; №81.02.21.537; №81.02.21.179; №81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. ქალაქი თბილისში, სოფელ წავისში, მარიჯანის ქუჩა, №30გ, №30დ, №30ა, №32, №30, №30ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.18.580; №81.02.18.579; №81.02.18.582; №81.02.12.903; №81.02.18.666; №81.02.18.581) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.695; №72.16.15.743; №72.16.15.832; №72.16.15.696; №72.16.23.885; №72.16.15.854; №72.16.15.836; №72.16.23.892) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, №1, №1ა, №1გ; №1დ; №1ბ; №1ე; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.19.18.008.032, №01.19.18.008.029, №01.19.18.008.030, №01.19.18.008.027, №01.19.18.008.033, №01.19.18.008.031, №01.19.18.008.034, №01.19.18.008.047, №01.19.18.008.051) და მიმდებარედ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისპროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.330.002; №81.02.39.313) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის პავლე საყვარელიძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

53. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტერის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

54. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

55. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის მომდერლის მარა თომაძის სახელის მინიჭების შესახებ

56. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

57. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გარევახეთის ქუჩისთვის ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წურწუმიას შესახვევისთვის და დედოფლისწყაროს I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიქარაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და გიორგი ჩიტაიას ჩიხისთვის ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭვიორიას სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

62. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

63. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მწათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის მნათობის I და II ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

64. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის გია ბადრიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

65. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

66. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

67. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული II შესახვევისთვის აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

68. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის მსახიობის წინო დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

69. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთისთვის მომლერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

70. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩისთვის რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

71. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: წინო ვარდოსანიძე

72. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის რეჟისორის გიზო ქორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

73. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩისთვის პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარისან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის ნაძვების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

78. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

79. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, თეთრიწყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

80. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ბოჭორმის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

81. ქალაქ თბილიში, ნაძალადევის რაიონში აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების შესახებ

მომსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და აღნიშნა, რომ შემოსული მოთხოვნების საფუძველზე, შესაბამისმა სამსახურმა, მონაცემების სტატისტიკური გაანალიზების შედეგად, გამოავლინა, ამ ახალი ქვეპროგრამის შექმნის აუცილებლობა. სახსრების ენდოპროტეზირება, სახსრის ან მეზჯ-ბარძაყის, დაფინანსება მერიის მხრიდან. მოხდება მატერიალური, 6 000 ლარიანი ვაუჩერის გამოყოფა. მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მიმართოს ლიცენზირებულ დაწესებულებას და აირჩიოს ინპლანტი .საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მოსარგებლეს შეეძლება დაუფინანსდეს მომსახურება ერთჯერადად.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ ეს პროგრამა არის ძალიან მნიშვნელოვანი. უკვე შემოსულია არაერთი განაცხადი და 1 სექტემბრიდან მოქალაქეებს ექნებათ მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ესაა ძალიან კარგი პროგრამა. ზურაბ ჩიკვილაძეს, როგორ ინიციატორს, მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთ პროექტებს ყოველთვის ექნება მხარდაჭერა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ტყემალაძის განცხადებით, საკრებულოს სხდომის წარმართვა დაუვალა თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, გიორგი აზვლედიანს.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს, დებულებასთან დაკავშირებით, კონტროლის განხორციელებას. ეს ეხება მონიტორინგის სამსახურს, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დედაქალაქში საჯარიმო სანქციებს.

სხდომა განაგრძო საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134 1 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125- ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/ გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს სამართალდარღვევათა 20 % ფასდაკლებას, დაჯარიმების შემდგომ, 10 დღის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენაბვის, სატრანსპორტო

საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილება ეხება პარკირების წესს, საინფორმაციო დაფუძნების განთავსება ა, ბ, ც კატეგორიების ავტომობილებისთვის. დაფუძნების განთავსება 14 ადგილიდან მცირდება 6 ადგილით, რათა საზოგადოებისთვის, ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ხელმისაწვდომი გახდეს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სიცრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ანგარიშსწორების ნაწილში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და აღნიშნა, რომ ჯარიმის დაწერის შემთხვევაში, ბარათების დაბლოკის უფლება, სრულად გადაეცემა სააგენტოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყუმალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი №6-ის მიმდებარედ არსებული 82.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 82,32 კვ. ფართი გადაეცემა ერთ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 1997 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყუმალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.01.010.018.02.612 და №01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 21 კვ.მ ფართი გადაეცემა ერთ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 2002 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა №13-ში არსებული 68.60 კვ.მ უმრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.01.083.009.01.525) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის „შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებლუოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქებილაძემ და განმარტა, რომ 68,60 კვ.მ ფართი გადაეცემა ერთ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 2012 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით

10. ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს №2ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.010) მდებარე უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის „შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქებილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული 479 კვ.მ ფართი, სველი წერტილები და სამზარეულო, გადაეცემა ამხანაგობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა №14დ-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.217.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განვარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის საგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ფართი გადაეცემა ერთ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 2006 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განვარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის საგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 151 კვ.მ ფართი გადაეცემა 5 ოჯახს, რომლებიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობენ 2016 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განვარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის საგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 244 კვ.მ ფართი გადაეცემა 5 ოჯახს, რომლებიც აღნიშნულ ფართში ცხოვრობენ 2016 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, XI ქუჩა, კორპუსი 3-თან არსებული 860 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.014.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის „შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილამემ და განმარტა, რომ 860 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად (1 ლარი) გადაეცემა საპატრიარქოს, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში №01.19.39.006.207 და №01.19.39.006.208 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 11 228 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ბრ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ. 405596573), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილამემ და განმარტა, რომ ესაა ახალი კოოპერატიული პროექტი, გამარჯვებული კომპანია გადასცემს 9100 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რითაც დაკმაყოფილდება 117 კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული. წარმოდგენილია საბანკო გარანტია 4 მილიონ ნახევარი ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა №105-ში მდებარე უმრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის“ (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 121 კვ.მ ფართი გადაეცემა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „კავშირი ქალი და რეალობისთვის“, ეს ორგანიზაცია მუშაობს შშმ ქალთა დამოუკიდებელი ცხოვრების მიმართულებით და ეხმარება, როგორც თბილისის წარმომადგენლობებს, ასევე, რეგიონებსაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.047) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ. 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა შპს „მარიტას“, 5 წლით( წლიური იჯარა - 3120 ლარი) შემდგომში, კაფეს მოწყობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. ქ. თბილისში, კედიას ქ. №8-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.108) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კლასიკ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ. 402020184) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სიპ-ქონების მართვის სააგენტოს

უფროსმა ირაკლი თავართქილამემ და განმარტა, რომ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხდება, 5 წლით (წლიური იჯარა 2736 ლარი), კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალამემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. ქალაქ თბილისში, ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.58.046.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილამემ და განმარტა, რომ შატბერაშვილის ქუჩაზე ხდება მონაცვლეობა. 1478 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც არის კერძო საკუთრება. ახალმა გენზეგმამ გააუქმა გრგ, შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიის სანაცვლოდ კომპანიას გადაეცემა სოფ.თხინვალას მიმდებარედ მიწის ნაკვეთი. მუნიციპალური მიწის ნაკვეთის ღირებულებაა - 1 596 ათასი ლარი, ხოლო, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის - 1 279 ათასი ლარი. სხვაობას - 300 ათას ლარს გადაიხდის კომპანია, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალამემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილამემ განმარტა, რომ 2019 წელს აღნიშნული ტერიტორია 14 000 კვ.მ გადაეცა ფეხბურთის ფედერაციას, ფეხბურთის მოედნების მოწყობის მიზნით. მოხდა ექსპლოატაციაში მიღების ვადის დარღვევა, რის გამოც, კომპანიას დაეკისრა

პირგასამტეხლო 34000 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე, კომპანიის მხარდაჭერის მიზნით და იქიდან გამომდინარე, რომ ვადაგადაცილება გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეს მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების ფარგლებში, კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს პატივის. დიდ დიღონმში არსებული პროექტით უნდა დაკმაყოფილებულიყო 66 ოჯახი, კომპანიამ 64 ოჯახთან შეასრულა ვალდებულება, დარჩენილია 2 ოჯახი. აღნიშნული ცვლილებით, კომპანია უმოკლეს, 2 თვის ვადაში შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და გათავისუფლდება პირგასამტეხლოსგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბეჟანიშვილის ქუჩა №15; ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.12.12.005.010, ფართობი - 629 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა და განაცხადა, რომ დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის 2,5-დან 4,4-მდე გადამეტება და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის გამსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლება. ამ ხელშემწყობი ღონისძიების სანაცვლოდ, გამცხადებელი გამოთქვამს მზადყოფნას, ბიუჯეტში გადაიხადოს 54432,32 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომსრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლურჯქედის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.17.003.416, ფართობი - 1 391 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა და განაცხადა, რომ დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ2 3,5-დან 5,7-მდე გადამეტება და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის გამსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლება. ამ ხელშემწყობი ღონისძიების სანაცვლოდ, განმცხადებელი გამოთქვამს მზადყოფნას, ბიუჯეტში გადაიხადოს 806669,60 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომსრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, სატელევიზიო, პირდაპირ ეთერში ჩართვის გამო, დატოვა სხდომათა დარბაზი და სხდომის წარმართვა სთხოვა თინათინ ნიბლოშვილს.

24. მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ № 01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ № 01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა და განაცხადა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის მიზნით, „ცენტრ პოინტს“უნდა განესაზღვრა იურიდიული პირი, რომელსაც ქონების სააგენტო გადასცემდა ფართებს და მას შემდეგ დაერეგისტრირებინა განშლის ოქმი და დაზარალებულებისთვის გაენაწილებინა ფართები. „ცენტრ-პოინტის“დამფუძნებელმა დაარეგისტრირა შპს, რომელსაც დაედო საგადასახადო ყადაღა. აქედან გამომდინარე, „ცენტრ პოინტს“ მიეცა რეკომენდაცია, 1 ოქტომბრამდე დაარეგისტრიროს ისეთი შპს, რომელსაც არ ექნება საგადასახადო ვალდებულება და ამის შემდეგ მოხდეს ფართების დაზარალებულებზე გადანაწილება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქუჩა № 35 (ს/კ: №01.14.08.007.064 (მველი მისამართი: არჩილ ამაღლობელის ქუჩა № 24) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი“-ს (ს/კ 405168946) მიმართ დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა და აღნიშნა, რომ დაზარალებულები, ინვესტორთან ერთად, ითხოვენ იპოთეკასთან დაკავშირებით არსებულ შეზღუდვის მოხსნას, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი მოიტანდა ბანკიდან დამადასტურებელ წერილს, რომ ბანკი მთლიანად დააფინანსებდა მათ მშენებლობას. ჩვენი პირობაა - ეს წერილი უნდა არსებობდეს, აგრეთვე, გასხვისებასთან დაკავშირებული შეზღუდვა დარჩება ძალაში, მანამ, სანამ კონსტრუქციული ნაწილი სრულად არ დასრულდება. ასევე, ინვესტორს ეკრმალება იმ ფართების იპოთეკით დატვირთვა, რომელზეც განშლის ოქმი უკვე დარეგისტრირებულია და ფართები განაწილებულია დაზარალებულებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დადგენილებაში ცვლილებები. ორი პოზიცია, N12-032322026-03 წერილით წარმოდგენილი „ზ“ პოზიცია, N12-03232284-03 წერილით წარმოდგენილი „ვ“ პოზიცია შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია, გადაიდოს მომავალი სხდომისთვის. ხოლო, დაწარჩენ პოზიციებზე, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.078) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2021 წელს გადაეცა კოოპერატივებს, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ენსი გრუპი“, მიწის საერთო ფართია 8118 კვ.მ. ვინაიდან, ტერიტორია განვითარებულია საინჟინრო ინფრასტრუქტურით, შესაბამისად, მიზანშეწონილია, კოოპერატივების ნაწილში, აღნიშნული ტერიტორია გათავისუფლდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისგან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.21.665; №72.16.17.654; №72.16.21.662; №72.16.21.023; №72.16.21.024; №72.16.21.663; №72.16.21.664; №72.16.17.655; №01.72.16.096.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი სააგარავე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 2800 კვ.მ. შემოთავაზებული წინადადებით გათვალისწინებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის დაგეგმარება, სადაც განთავსდება 24 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: ვლადიმერ ბოჟაძემ, გივი ჩხარტიშვილმა, გიორგი ახვლედიანშა, ოთარ გრიგოლიაშ და გიორგი ტყემალაძემ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში, სამადლოს ქუჩა №16-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.18.901; №81.02.18.902; №81.02.18.107; №81.02.18.105; №01.81.02.183.003; №81.02.18.561) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიმემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5699 კვ.მ. გეგმარებითი დავალების შესაბამისად, ტერიტორია ვითარდება საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება 12 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ლევან უორჟოლიანმა და გიორგი ტყემალაძემ დააფიქსირეს დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიმემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 4600 კვ.მ. ტერიტორია ვითარდება საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით. იგეგმება 20 ბლოკისგან შემდგარი 5 სართულიანი მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირა: გიორგი ახვლედიანმა, ოთარ გრიგოლიამ და გიორგი ტყემალაძემ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. ქალაქი თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა №55; ქალაქი თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, კოსტავას ქუჩა №69-ში; ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №51; ქალაქი თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, ფაბრიკა “ამირან - სინთეზი”-სა და ცენტრალური საცურაო აუზის მიმდებარედ, სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, სამრეწველო-საცაჭრო ფირმა “ამირან-სინთეზი”-ს მიმდებარე ტერიტორია სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის; ქალაქი თბილისი, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, “ლაგუნა ვერეს” მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.15.03.004.038; №01.15.03.004.090; №01.15.03.004.049; №01.15.03.004.037; №01.15.03.004.017; №01.15.03.004.028; №01.15.03.004.015; №01.15.03.004.008; №01.15.03.004.013; №01.15.03.004.019; №01.15.03.004.043; №01.15.03.004.041; №01.15.03.004.042; №01.15.03.004.046; №01.15.03.004.023; №01.15.03.004.084; №01.15.03.004.061; №01.15.03.004.079; №01.15.03.004.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა. რომ ტერიტორიის საერთო ფართია 45000 კვ.მ. ტერიტორიის განვითარება იგეგმება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით და სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით. ტერიტორიაზე განთავსდება 2 მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსი. მაქსიმალურ სართულიანობად განსაზღვრულია 52 სართული. ასევე, გათვალისწინებულია არსებული „ლაგუნა-ვერეს“ შენარჩუნება და რეაბილიტაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

## **წინააღმდეგი - 1**

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ლევან ჟორჟოლიანმა, ზურაბ აბაშიძემ, გიორგი ახვლედიანმა, ოთარ გრიგოლიამ და გივი ჩხარტიშვილმა.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.835; №01.72.014.843; №01.72.14.014.579; №01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5496 კვ.მ. გეგმარებითი დავალების შესაბამისად, ტერიტორია ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით. ტერიტორიაზე განთავსდება 1 მრავალფუნქციური შენობა, 75% დაეთმობა კომერციულ ფართებს, ხოლო 25% - მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, ირაკლი ხელაძემ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49, №49-ა; №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.178; №01.14.07.008.180; №01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიმემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 18644 კვ.მ. გეგმარებითი დავალების შესაბამისად, ტერიტორია ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით. ტერიტორიაზე განთავსდება 1 მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა. ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ტერიტორიაზე განთავსდება სპორტის უნივერსიტეტი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: ზურაბ აბაშიძემ, გიორგი ახვლედიანმა და გიორგი ტყემალაძემ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.02.989; №81.02.99.731; №81.02.02.351; №81.02.02.987; №81.02.02.988; №81.02.02.919; №81.02.02.918; №01.81.10.291.001; №01.81.10.291.003) და

მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ. გეგმარებითი დავალების შესაბამისად, ტერიტორია ვითარდება სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით. ტერიტორიაზე განთავსდება 16 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, არჩილ გორდულაძემ, ლევან ჟორჟოლიანმა, გიორგი ახვლედიანმა, ოთარ გრიგოლიამ და გივი ჩხარტიშვილმა.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.012) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 70000 კვ.მ. გეგმარებითი დავალების შესაბამისად, ტერიტორია ვითარდება სარეკრეაციო ზონა 3-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით. ტერიტორიაზე დაგეგმილია 40 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია დააფიქსირეს გიორგი ტყემალაძემ, გიორგი ახვლედიანმა, ოთარ გრიგოლიამ, ზურაბ აბაშიძემ, გივი ჩხარტიშვილმა.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს გიორგი ტყემალაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, ქუჩა რკინიგზა, №30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №32-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.011.116; №01.12.12.011.001; №01.12.12.011.120; №01.12.12.011.111; №01.12.12.011.128; №01.12.12.011.129) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 204000 კვ.მ. ტერიტორია ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით. განთავსდება მრავალფუნქციური კომპლექსი, ასევე, ტერიტორიაზე, 4 ჰექტარზე მოეწყობა საპარკე ინფრასტრუქტურა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, ირაკლი ხელაძემ, ლევან უორულიანმა, ვახაბერ ლაბუჩიძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ, გიორგი ახვლედიანმა, ოთარ გრიგოლიამ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.16.104.013, №72.16.20.571) სააგარაკე-დასასვენებელი ერთმანიანი საცხოვრებელი სახლების განშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 75000 კვ.მ. ტერიტორია ვითარდება სარეკრეაციო ზონა 3-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით. დაგეგმილია 49 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, ირაკლი ხელაძემ, ლევან ქორქოლიანმა, ზურაბ ჩიკვილაძემ.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ერედვის ქუჩა, №87, №81, №89, №85, №83, №91; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ფატმანის ქუჩა №96, №100, №98, №84, №94, №92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:

№01.72.14.038.178, №01.72.14.038.116, №01.72.14.038.657, №01.72.14.038.520,  
 №01.72.14.038.117, №01.72.14.038.118, №01.72.14.038.972, №01.72.14.038.522,  
 №01.72.14.038.368, №01.72.14.038.521, №01.72.14.056.128, №01.72.14.056.129,  
 №01.72.14.038.112, №01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების  
 კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე”  
 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №623  
 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის  
 კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” საკითხი საკრებულოს სხდომაზე  
 წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული  
 განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განაცხადა, რომ  
 ტერიტორიის საერთო ფართია 16000 კვ.მ. კორექტირება ეხება 1 სექტორში 7300 კვ.მ  
 ტერიტორიას, სადაც გახორციელდა კ2 კოეფიციენტის მატება 2.1-დან 2.5-მდე.  
 შესაბამისად, გრგ-ს კორექტირება მოიაზრებს, მხოლოდ ერთ სექტორზე, 6  
 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად, 7 სართულიანი  
 მრავალბინიანი კორპუსის განთავსებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა  
 წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, ირაკლი ხელაძემ, ლევან არველაძემ, ლევან უორჟოლიანმა.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №2, №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
 (საკადასტრო კოდი: №01.19.19.009.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების  
 განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” საკითხი  
 საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
 ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ  
 ჩიტიძემ და განაცხადა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 69000 კვ.მ. ვითარდება

საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით. აღნიშნულია სოციალური პროექტი, სადაც დაკმაყოფილდება 2400 იმულებით გადაადგილებული პირი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე, თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნულ საკითხს, ხმა ვერ მისცა თინათინ ნიბლოშვილმა, თუმცა დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

საოქმო ჩანაწერისთვის, ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირეს: გიორგი ტყემალაძემ, ზურაბ აბაშიძემ, არჩილ გორდულაძემ, ირაკლი ხელაძემ, ლევან ჟორჟოლიანმა.

საოქმო ჩანაწერისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო წულაძემ დააფიქსირა - წინააღმდეგი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

